სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 63

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	წყალტუბოს „დინოზავრი“ - რუსთავის „რუსთავი“		
გუნდი	რუსთავის „რუსთავი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	21/03/2025	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი ზაბახიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მსაჯი - საბა მახარაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	8.13 - არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;	☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	25/03/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) – თამაშის მეორე ტაიმში დაინიშნა ჯარიმა „წყალტუბოს“ სასარგებლოდ, რა დროსაც, რუსთავის „რუსთავის“ დამხმარე მწვრთნელს დატოვებული ჰქონდა თავისი ტექნიკური ზონა, იდგა მოედნის კიდესთან, ჩემსკენ იქნევდა თითს და მაღალი ტონით იძახდა „სირცხვილია, სირცხვილია“ რაზეც გავხედე, მაინტერესებდა თუ გაჩერდებოდა და ისევ იგივე გააგრძელა, რაზეც მივედი და ვუჩვენე წითელი ბარათი და ვთხოვე დაეტოვებინა მოედანი. მსგავს საქციელზე გიორგი ზაბახიძე უკვე არაერთხელ იყო გაფრთხილებული სეზონის განმავლობაში. თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე „რუსთავს“ მოედანზე ჰყავდა 16 მოთამაშე, რაზეც მივედი კაპიტანთან და ავუხსენი, რომ წესების მიხედვით, უნდა მოეკლოთ მოთამაშე, ხოლო თამაში გაგრძელდებოდა ჯარიმით „წყალტუბოს“ სასარგებლოდ. კაპიტანმა და მოთამაშეებმა მშვიდად მიიღეს ეს ფაქტი, მაგრამ ტრიბუნებზე მყოფი გიორგი ზაბახიძისგან იყო რეპლიკები და ყვირილი „თქვე დებილებო, რაოდენობაც ვერ დათვალეთ“ „დებილი ხარ“ - რაც იყო მიმართული მსაჯების მისამართით, იყურებოდა ჩემსკენ და იშვერდა თითს. ამაზე გავაჩერე კიდევ ერთხელ დრო და ვთხოვე მოთამაშეებს დაემშვიდებინათ ეს პიროვნება, თორე თამაშს არ გავაგრძელებდი. უნდა აღინიშნოს, რომ „რუსთავის“ მორაგბეები და სხვა სამწვრთნელო შტაბის წევრები, როგორც თამაშის მიმდინარეობისას, ასევე თამაშის დასრულების შემდეგ იყვნენ პოზიტიურად განწყობილები ჩემს მიმართ და არ ჰქონიათ პრეტენზიები.
2. მატჩის მსაჯი საბა მახარაძე - საბა მახარაძემ დამატებით დაუდასტურა სადისციპლინო კომისიას, რომ გიორგი ზაბახიძის შეურაცხმყოფელი რეპლიკები მიმართული იყო მსაჯებისკენ. გიორგი ზაბახიძე მის მიმართულებით იშვერდა ხელს, რა დროსაც „რუსთავი“-ს მოთამაშეების მისგან მოშორებით (10 მეტრში) იდგნენ.
3. მატჩის კიდის მსაჯის დავით ბალუაშვილი - დავით ბალუაშვილის განცხადებით თამაშის მიწურულს ტრიბუნაზე მყოფმა წითელი ბარათით გაძევებულმა „რუსთავი“-ს მწვრთნელმა გიორგი ზაბახიძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მსაჯებს. კერძოდ, მას შემდეგ რაც მან (დავით ბალუაშვილმა) შეიტყო, რომ „რუსთავი“-ს შემადგენლობაში მოედანზე იმყოფებოდა 16 მოთამაშე, „რუსთავი“-ს სასარგებლოდ დადებული ჯარიმის დროს, შეატყობინა მსაჯს. რომელმაც წესების მიხედვით ჯარიმა „რუსთავი“-ს საწინააღმდეგოდ შეატრიალა. ყოველივე ამას მოჰყვა გიორგი ზაბახიძის აღშფოთება რომელმაც „თქვენ დებილები იყოთ მე რატომ ვისჯები !“ რეპლიკით მიმართა მსაჯებს.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელმა გიორგი ზაბახიძემ აღიარა მსაჯის გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტი, თუმცა არ დაეთანხმა მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებას. გიორგი ზაბახიძის განცხადებით, მან თავის მოთამაშეებს მიმართა წითელი ბარათის ოქმში აღნიშნული რეპლიკებით და არა მსაჯებს. გიორგი ზაბახიძემ წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის და მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო რუსთავის „რუსთავი“-ს მწვრთნელის გიორგი ზაბახიძის მხრიდან, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტის (**არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;**) დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინა გიორგი ზაბახიძის სადისციპლინო ისტორია. კერძოდ სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 2024 წლის 18 ნოემბრის #15 გადაწყვეტილებით, გიორგი ზაბახიძე სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის დარღვევისთვის დისკვალიფიცირებული იყო 1 კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდა 300 ლარით.

დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით სადისციპლინო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	4(ოთხი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	27/03/2025	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	28/04/2025	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)**	კლუბ რუსთავის „რუსთავს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 500(ხუთასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 27 აპრილამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 6.1 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, გიორგი ზაბახიძეს ეკრძალება რუსთავის „რუსთავი“-ს თამაშის დროს სათამაშო სივრცეში* ყოფნა. ***სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია ტერმინთა განმარტება: 2.12 სათამაშო სივრცე - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.**	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	27/03/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]